



პარლამენტის  
საბიუჯეტო ოფისი

**საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის მოსაზრებები  
„საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“  
საქართველოს კანონის პროექტში გენდერული თანასწორობის  
ასპექტების გათვალისწინების შესახებ**

2015 წ.

## შინაარსი

1. გენდერული ბიუჯეტი - არსი და მნიშვნელობა.....	3
1.1. გენდერული ბიუჯეტის დანერგვის წინაპირობები.....	3
1.2. გენდერული ბიუჯეტის შემუშავების პროცესი.....	4
2. გენდერული ბიუჯეტი და საქართველო .....	6
3. გამოყენებული ლიტერატურა .....	11
4. დანართები .....	11

# 1. გენდერული ბიუჯეტი - არსი და მნიშვნელობა

გენდერული ბიუჯეტი გულისხმობს გენდერული თანასწორობის ასპექტების ჩართვას ქვეყნის საბიუჯეტო პროცესში და საბიუჯეტო რესურსების ისეთ გადანაწილებას, რომელიც ხელს შეუწყობს გენდერული პერსპექტივების<sup>1</sup> ინტეგრირებას ყველა სფეროსა თუ სექტორში. სახელმწიფო ბიუჯეტის ფორმირებისას არსებული გენდერული უთანასწორობის გათვალისწინება იძლევა საბიუჯეტო რესურსების უფრო ეფექტიანი გადანაწილების საშუალებას და ხელს უწყობს ამ მხრივ საბიუჯეტო პროცესის დახვეწას.

აღსანიშნავია, რომ გენდერული ბიუჯეტი არ გულისხმობს ქალთა და მამაკაცთათვის განსხვავებული ბიუჯეტის შედგენას, არამედ იგი წარმოადგენს გენდერზე ორიენტირებული საბიუჯეტო პროცესის ფორმირებას, რაც გულისხმობს საბიუჯეტო სახსრების გადანაწილების შესაბამისობას ქვეყანაში არსებულ გენდერული თანასწორობის პოლიტიკასთან. აქედან გამომდინარე, გენდერული ბიუჯეტი კომპლექსური საკითხია და არ არსებობს მისი შემუშავებისა და დანერგვის უნივერსალური მეთოდოლოგია და მისი პრაქტიკაში წარმატებით განხორციელება მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული ქვეყნის სპეციფიკურ მახასიათებლებზე.

## 1.1. გენდერული ბიუჯეტის დანერგვის წინაპირობები

საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით, გამოიყოფა გენდერული ბიუჯეტის წარმატებით შემუშავებისა და განხორციელებისთვის აუცილებელი 3 წინაპირობა:

1. **გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის მიზნით შესაბამისი სამართლებრივი და პოლიტიკური გარემოს არსებობა** - რაც, მოწინავე ქვეყნების მაგალითზე დაყრდნობით, გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების ეროვნულ სამოქმედო გეგმის არსებობას უკავშირდება. აღნიშნული სამოქმედო გეგმა, როგორც წესი საშუალებას იძლევა ნათლად გამოიკვეთოს გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის უზრუნველყოფისთვის პრიორიტეტული სფეროები, ჩამოყალიბდეს სტრატეგიული მიზნები და ამოცანები, განისაზღვროს პასუხისმგებელი ორგანოები და შედეგების შეფასების ძირითადი ინდიკატორები.
2. **არსებული გენდერული უთანასწორობის შეფასება** : **სოციალურ-ეკონომიკური ინდიკატორები** - საერთაშორისო პრაქტიკაზე დაყრდნობით, ამ კუთხით გამოიყოფა განათლებისა და ჯანდაცვის სფეროებისა და სამუშაო ბაზრისა და სიღარიბის დონის შესაფასებლად გამოყენებული ინდიკატორები. როგორც წესი განათლების სფეროში არსებულ გენდერულ უთანასწორობას საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხულ და კურსდამთავრებულ ქალთა და მამაკაცთა ფარდობის საფუძველზე ზომავენ. ჯანდაცვის სფეროში კი აღნიშნული თანაფარდობა, როგორც წესი, სიცოცხლის ხანგრძლივობისა და ჯანდაცვაზე მიმართული ფინანსური ხარჯების ოდენობის საფუძველზე დგინდება. რაც შეეხება შრომითი ბაზრის შესწავლას, შრომის ანაზღაურებასთან მიმართებაში გენდერული ნიშნით არსებული სხვაობისა და ჯამურ დასაქმებაში ქალთა და მამაკაცთა რაოდენობის თანაფარდობის გარდა, მნიშვნელობა ენიჭება აუნაზღაურებელი შრომის (unpaid labor) გავლენასაც, ვინაიდან შრომის ბაზარზე აქტიურობასთან ერთად ხშირად ქალებს უწევთ ისეთი აუნაზღაურებელი შრომის გაწევა, როგორც არის ოჯახის სხვა წევრებზე ზრუნვა, რაც

<sup>1</sup> გენდერული პერსპექტივები განსაზღვრავს გენდერის გავლენას ადამიანთა შესაძლებლობებზე (opportunities), მათ სოციალურ როლსა და ურთიერთობებზე.

თავის მხრივ შესაძლოა აისახოს მათ პროდუქტიულობაზე და იქცეს შრომის ანაზღაურების მიმართულებით არსებული უთანასწორობის მიზეზად.

3. **შესაბამისი სტატისტიკური მონაცემების არსებობას** - იმისათვის რომ წარმოიქმნას ზემოთხსენებული 2 წინაპირობა აუცილებელია არსებობდეს შესაბამისი ანალიზისთვის აუცილებელი ინფორმაცია/მონაცემები. როგორც წესი, აღნიშნული არ მოიცავს მხოლოდ სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკური მონაცემების გენდერის მიხედვით დაჯგუფებას, არამედ უკავშირდება თითოეული პრიორიტეტული სფეროსა თუ სექტორის დაწვრილებით კვლევასა და შესწავლას. ასე მაგალითად, მხოლოდ დასაქმებულთა წილობრივ მაჩვენებლებზე დაყრდნობით შეუძლებელია დადგინდეს დასაქმების ტიპი და ხარისხი (nature and type) და შესაბამისად რთულია გამოიკვეთოს გენდერული უთანასწორობის წარმოქმნის მიზეზი. ამ შემთხვევაში ხელმისაწვდომი უნდა იყოს ისეთი ინფორმაცია როგორც არის შრომითი კონტრაქტების ტიპი, სამუშაო დროის მოქნილობას, სამუშაოს სეგრეგაცია (work segregation), უთანასწორობა შრომის ანაზღაურების მიმართულებით და ა.შ.

## 1.2. გენდერული ბიუჯეტის შემუშავების პროცესი

გენდერული ბიუჯეტის შემუშავების პროცესი სამ ძირითად ეტაპად იყოფა:

1. **ბიუჯეტის ანალიზი გენდერული ასპექტების გათვალისწინებით** - გენდერული თანასწორობის შესაბამისობის მიხედვით ბიუჯეტის გავლენის შეფასება : გავლენის ზემოქმედება ორივე სქესზე და გენდერულ თანასწორობაზე (რამდენად გაიზარდა, შემცირდა ან უცვლელი დარჩა არსებული გენდერული უთანასწორობის დონე არსებული ბიუჯეტის გავლენით).
2. **გენდერული ასპექტების გათვალისწინებით პრიორიტეტების განსაზღვრა საბიუჯეტო რესურსების გადანაწილებაზე დაყრდნობით** - ბიუჯეტის გადასახდელების კლასიფიკაციის გათვალისწინებით საბიუჯეტო რესურსების გადანაწილების გენდერული თანასწორობის ეროვნულ სამოქმედო გეგმასთან შესაბამისობის უზრუნველყოფა.
3. **გენდერული თანასწორობის ასპექტების ჩართვა საბიუჯეტო პროცესის ყველა ეტაპზე** - ზემოთაღნიშნული ეტაპების გათვალისწინების საფუძველზე საბიუჯეტო პროცესის დახვეწა.

აღნიშნული 3 ეტაპის გათვალისწინებით, გენდერული ბიუჯეტის შედგენის მთავარ ელემენტს საბიუჯეტო გადასახდელების ბენეფიციართა (ქალები და მამაკაცები) შორის გადანაწილების შეფასება წარმოადგენს. შესაბამისად, პირველ რიგში მნიშვნელოვანია ბიუჯეტის გადასახდელები (ფუნქციონალური კლასიფიკაციის გათვალისწინებით<sup>2</sup>) დაჯგუფდეს გენდერულ თანასწორობაზე მათი გავლენის მიხედვით. ასე მაგალითად, ავსტრიის გენდერული ბიუჯეტის გავლენის შეფასების კომისია ბიუჯეტის გადასახდელებს ყოფს სამ ტიპად:

1. **g1** - ბიუჯეტის გადასახდელები რომლებიც არ არის დაკავშირებული გენდერულ პოლიტიკასთან

---

<sup>2</sup> შვეიცარიის მაგალითის გათვალისწინებით (Basel-City Gender Budget Study - BASS), რომელიც მოგვიანებით მრავალმა ქვეყანამ გამოიყენა საკუთარი მიდგომის ჩამოსაყალიბებლად, გენდერული ბიუჯეტის შემუშავების პროცესი ეყრდნობა სწორედ ბიუჯეტის გადასახდელების ფუნქციონალურ კლასიფიკაციას.

2. G - ბიუჯეტის გადასახდელები რომლებიც ირიბად/არაპირდაპირ შეიძლება უკავშირდებოდეს გენდერულ პოლიტიკას
3. G+ - ბიუჯეტის გადასახდელები რომლებიც ცხადად არის დაკავშირებული გენდერულ პოლიტიკასთან.

შემდგომ ეტაპზე, მნიშვნელოვანია რელევანტური გადასახდელების (გადასახდელები რომლებიც ცხადად არის დაკავშირებული გენდერულ პოლიტიკასთან) აღწერისა და მიზნების წარმოდგენა გენდერული ასპექტების გათვალისწინებით და შეფასების შესაბამისი ინდიკატორებისა ფორმულირება. აღნიშნულის მაგალითები წარმოდგენილია ცხრილში 1 და 2 (საერთაშორისო სავალუტო ფონდი - IMF)<sup>3</sup>:

**ცხრილი 1: განათლების ხელმისაწვდომობის ზრდა**

<b>განათლების ხელმისაწვდომობის ზრდა</b>	
<b>განმახორციელებელი ორგანო:</b>	განათლების სამინისტრო
<b>მიზანი:</b>	საყოველთაო უმაღლესი განათლების უზრუნველყოფა
<b>მიზანი <b>გენდერული ასპექტების</b> გათვალისწინებით:</b>	იმის გათვალისწინებით რომ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ქალთა ჩარიცხვის რიცხოვნობა მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება მამაკაცთა ჩარიცხვის რიცხვს, პროგრამის მიზანია აღმოფხვრას აღნიშნული უთანასწორობა
<b>ღონისძიებები:</b>	გაიზარდოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხულ ქალ სტუდენტთა სასწავლო გრანტის ოდენობა
<b>პროექტის მოსალოდნელი შედეგი:</b>	სტუდენტთა (ქალთა) რიცხოვნობის ზრდა
<b>შეფასების ინდიკატორები:</b>	ჩარიცხულ სტუდენტთა რიცხვის ზრდა, მათ შორის მეტად ქალთა წილის ზრდა.

**ცხრილი 2: ინფექციურ დაავადებათა გავრცელების პრევენცია**

<b>ინფექციურ დაავადებათა გავრცელების პრევენცია</b>	
<b>განმახორციელებელი ორგანო:</b>	ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო
<b>მიზანი:</b>	კონკრეტული დაავადების მქონე პირთა რიცხოვნობის შემცირება
<b>მიზანი <b>გენდერული ასპექტების</b> გათვალისწინებით:</b>	იმის გათვალისწინებით რომ მოცემული დაავადების შემთხვევების რიცხოვნობა მამაკაცებში უფო მაღალია ვიდრე ქალებში, პროგრამის მიზანია აღმოფხვრას აღნიშნული უთანასწორობა
<b>ღონისძიებები:</b>	შეიქმნას სპეციალური პროგრამა მამაკაცებისთვის მოცემული დაავადების პრევენციულ ღონისძიებებთან დაკავშირებით ცნობიერების ამაღლების მიზნით.
<b>პროექტის მოსალოდნელი შედეგი:</b>	დაავადებულთა (კაცთა) რიცხოვნობის კლება
<b>შეფასების ინდიკატორები:</b>	დაავადებულთა რიცხოვნობის კლება, მათ შორის მეტად მამაკაცთა წილის შემცირება (დაავადებულ მამაკაცთა და ქალთა თანაფარდობის კლება).

<sup>3</sup> აღნიშნული მაგალითები ეყრდნობა საერთაშორისო სავალუტო ფონდის ერთ-ერთ კვლევაში წარმოდგენილ მაგალითებს : Stotsky, J.,G, 2007. "Budgeting with Women in Mind". International Monetary Fund. Finance and Development Magazine. Vol. 44, No. 2.

## 2. გენდერული ბიუჯეტი და საქართველო

გენდერული ბიუჯეტის კუთხით არსებული მდგომარეობის შესაფასებლად შესაძლებელია განხილულ იქნას ზემოთხსენებული 3 ასპექტი:

1. გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის მიზნით შესაბამისი სამართლებრივი და პოლიტიკური გარემო - ამ კუთხით, საყურადღებოა, რომ 2014 წელს საქართველოს პარლამენტის დადგენილებით მიღებულ იქნა გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების ეროვნული სამოქმედო გეგმა 2014-2016 წლებისთვის, რომლის მიხედვითაც გამოიყო 8 პრიორიტეტული სფერო და ჩამოყალიბდა შესაბამისი სტრატეგიული ამოცანები:

პრიორიტეტული სფეროები	სტრატეგიული ამოცანები
1. ეროვნული თანასწორობის პოლიტიკის შემუშავება და მისი განხორციელების ხელშეწყობა	გენდერული თანასწორობის ინსტიტუციური მექანიზმების დამკვიდრება და გაძლიერება, გენდერულ სენსიტიური კანონმდებლობის მიღება
2. განათლებისა და ცხოვრების დონის ამაღლება	გენდერული თანასწორობის ასპექტების აქტუალიზაცია და ცხოვრების დონის ამაღლება განათლების დარგში
3. გენდერული თანასწორობის დაცვა ეკონომიკის სფეროში	ქალთა და მამაკაცების თანაბარი მონაწილეობა ეკონომიკის სფეროში
4. ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფერო	გენდერული ასპექტების გათვალისწინება ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროში
5. გენდერული თანასწორობის გაძლიერება ადგილობრივი თვითმმართველობების დონეზე	გენდერული ასპექტების გათვალისწინება ადგილობრივი თვითმმართველობების პოლიტიკაში
6. ქალები და პოლიტიკა	გადაწყვეტილებების მიღების დონეზე ქალთა მზარდი მონაწილეობის ხელშეწყობა
7. გენდერული თანასწორობა გარემოს დაცვის დარგში	გარემოს დაცვით საკითხებში ქალთა და მამაკაცთა თანაბარი მონაწილეობის უზრუნველყოფა
8. გენდერული თანასწორობა კანონის აღსრულებისა და პენიტენციალურ სისტემებში	გენდერული ასპექტების დაცვა კანონის აღსრულებისა და პენიტენციალურ სისტემაში

2. არსებული გენდერული უთანასწორობის შეფასება : სოციალურ-ეკონომიკური ინდიკატორები - ამ კუთხით აღსანიშნავია, რომ 2013 წელს შეიქმნა გენდერული თანასწორობის დეპარტამენტი სახალხო დამცველის აპარატში, რომელიც ცალკეული სოციალურ-ეკონომიკური ინდიკატორების შეფასების საფუძველზე ამზადებს ანგარიშებს საქართველოში ქალთა უფლებებისა და გენდერული თანასწორობის შესახებ.

3. შესაბამისი სტატისტიკური მონაცემები - ამ კუთხით აღსანიშნავია, რომ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური აწარმოებს გენდერულ სტატისტიკას, რომელიც მოიცავს შემდგომ სექტორებს/სფეროებს:

### I. მოსახლეობა

- ა) საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობა ასაკისა და სქესის მიხედვით
- ბ) ცოცხლად დაბადებულთა რიცხოვნობა დედის ასაკის მიხედვით
- გ) გარდაცვლილთა რიცხოვნობა ასაკისა და სქესის მიხედვით
- დ) გარდაცვალება სქესისა და სიკვდილის მიზეზების მიხედვით
- ე) ერთ წლამდე გარდაცვლილთა რიცხოვნობა ასაკისა და სქესის მიხედვით



- ვ) ქორწინებათა რიცხვი სქესისა და ქორწინებითი მდგომარეობის მიხედვით
- ზ) განქორწინებულთა რიცხვი სქესისა და ქორწინების ხანგრძლივობის მიხედვით
- ს) სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა დაბადებისას

**II. ჯანმრთელობის დაცვა**

- ა) აბორტები
- ბ) სიცოცხლის ხანგრძლივობა

**III. სოციალური დაცვა**

- ა) საპენსიო პაკეტის და სოციალური პაკეტის მიმღებთა რაოდენობა სქესის და რეგიონების მიხედვით

**IV. განათლება**

- ა) მოსწავლეთა რიცხოვნობა
- ბ) პედაგოგების რაოდენობა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში

**V. დასაქმება და უმუშევრობა**

- ა) 15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის განაწილება ეკონომიკური აქტივობის მიხედვით
- ბ) 15 წლის და უფროსი ასაკის ქალების განაწილება ეკონომიკური აქტივობის მიხედვით
- გ) 15 წლის და უფროსი ასაკის კაცების განაწილება ეკონომიკური აქტივობის მიხედვით
- დ) დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი საქმიანობის სახეების და სქესის მიხედვით

**VI. სამართალდარღვევები**

- ა) არასრულწლოვანი მსჯავრდებულები ჩადენილი დანაშაულის მიხედვით
- ბ) მსჯავრდებულთა რაოდენობა
- გ) მონაცემები ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა და მოძალადეთა რაოდენობის შესახებ სქესობრივ ჭრილში

**VII. ბიზნეს სექტორი**

- ა) ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რიცხოვნობა და შრომის საშუალოთვიური ანაზღაურება საწარმოს ტიპებისა და ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით
- ბ) ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რიცხოვნობა და შრომის საშუალოთვიური ანაზღაურება საწარმოს ტიპებისა და რეგიონების მიხედვით

ამასთან, გენდერული თანასწორობის სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებისა და მისი განხორციელების ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს პარლამენტის 24.01.2014 წლის დადგენილების - „საქართველოში გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების ღონისძიებათა 2014-2016 წლების სამოქმედო გეგმის“ დამტკიცების შესახებ“ - პირველი პრიორიტეტული სფეროს ფარგლებში ერთ-ერთ განსახორციელებელ ღონისძიებად განსაზღვრულ იქნა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის ფორმირების პროცესში გენდერული თანასწორობის ასპექტების გათვალისწინება. დადგენილების თანახმად, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის მხარჯავმა დაწესებულებებმა უნდა უზრუნველყონ საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის ფორმირების პროცესში, პროგრამების სპეციფიკის მიხედვით, საჭიროებიდან გამომდინარე, გენდერული თანასწორობის ასპექტების გათვალისწინება.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის ფორმირების პროცესში გენდერული თანასწორობის ასპექტების გათვალისწინების თვალსაზრისით მნიშვნელოვანია, რომ მიმდინარე წელს „პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2015 წლის 14 აგვისტოს ბრძანების საფუძველზე, მნიშვნელოვნად იქნა მიჩნეული, გენდერულად სენსიტიურ პროგრამებთან მიმართებაში, საჭიროებიდან გამომდინარე, პროგრამის შეფასების ერთ-ერთ ინდიკატორად გამოყოფილ იქნას პროგრამის გენდერულ ასპექტში შეფასების ინდიკატორი.

შესაბამისად, 2015 წლის ბიუჯეტისაგან განსხვავებით, 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტში ზოგიერთი მხარჯავი დაწესებულების/სამინისტროს მიერ წარმოდგენილი იქნა პროგრამების გენდერულ ასპექტში შეფასების ცალკეული ინდიკატორები. მაგალითისათვის, მნიშვნელოვანია გამოვყოთ 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტში აღნიშნული პროგრამები და ღონისძიებები:

**ხელმისაწვდომი ხარისხიანი ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფისათვის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ფარგლებში, დაავადებათა ადრეული გამოვლენისა და სკრინინგის (35 03 02 01) ღონისძიებების მიმართულებით** დაფინანსება, მიმდინარე წლის ანალოგიურად, შეადგენს 2.0 მლნ ლარს. 2015 წლისგან განსხვავებით, ცალ-ცალკე არის წარმოდგენილი გენდერული ასპექტის გათვალისწინებით მიზნობრივი ასაკობრივი ჯგუფები, ინდიკატორების საბაზისო და მიზნობრივი მაჩვენებლები:

- **40-70 ასაკობრივი ჯგუფის ქალებში ძუძუს კიბოს სკრინინგი**

საბაზისო მაჩვენებელი - 21 000 (2,46%);  
მიზნობრივი მაჩვენებელი - 3,5%;  
ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 15%;  
შესაძლო რისკები - ცნობიერების დაბალი დონე

- **25-60 ასაკობრივი ჯგუფის ქალებში საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგი**

საბაზისო მაჩვენებელი - 23 000; (2,01%);  
მიზნობრივი მაჩვენებელი - 2,5%;  
ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - 15%;  
შესაძლო რისკები - ცნობიერების დაბალი დონე

- **50-70 ასაკობრივი ჯგუფის კაცებში პროსტატის კიბოს სკრინინგი**

საბაზისო მაჩვენებელი - 6100, (1,4%);  
მიზნობრივი მაჩვენებელი - 1,7%;  
ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - ცნობიერების 15%;  
შესაძლო რისკები - დაბალი დონე

**საზოგადოებრივი წესრიგის, სახელმწიფო საზღვრის დაცვის და საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება/გაღრმავების (30 01) პროექტის ფარგლებში** (დაფინანსება შეადგენს 510.5 მლნ ლარს, მიმდინარე წელთან შედარებით 40.4 მლნ ლარით ნაკლებს) მიზნად დასახულ იქნა შს სამინისტროს სისტემაში დასაქმებულ ქალთა საერთო მაჩვენებლის გაზრდის მიზნით ქალთა რეკრუტირების ახალი პოლიტიკის შემუშავება და საბოლოო შედეგის სახით პოლიციის სტრუქტურებში ქალთა როლის გაძლიერება და წარმომადგენლობის მაჩვენებლის გაზრდა, 2015 წლისგან განსხვავებით, განისაზღვრა საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები: საბაზისო (*შს სისტემაში დასაქმებულ ქალთა პროცენტული მაჩვენებელი - 14%*) და მიზნობრივი მაჩვენებლები (*შს სისტემაში დასაქმებულ ქალთა მზარდი პროცენტული მაჩვენებელი*).

**სრულყოფილი პრობაციის სისტემის (27 02) პროექტის** მიზნად დასახულია თავისუფლების შეზღუდვის ახალი დაწესებულებების ამოქმედება, როგორც დასავლეთ საქართველოში მყოფ



მსჯავრდებულთა, ასევე ქალ მსჯავრდებულთათვის, რომელთა ბაზაზე მოხდება მათი რეაბილიტაცია-რესოციალიზაცია, განისაზღვრა საბაზისო და მიზნობრივი მაჩვენებლები:

- **საბაზისო მაჩვენებელი** - სარეაბილიტაციო პროგრამებში 2015 წელს ჩართული 5896 პირობით მსჯავრდებულები, რაც საერთო რაოდენობის (18 253) 32,3%. პირობითი მსჯავრის მქონე 960 ქალი მსჯავრდე-ბულიდან სარეაბილიტაციო პროგრამებში ჩართულია 326 ანუ 33,9%;
- **მიზნობრივი მაჩვენებელი** - 2016 წელს ჩართულია პირობით მსჯავრდებულების 2.5%; 2017 წელს - 3%; 2018 წელს - 3.5% 2019 წელს - 4%;
- **ცდომილების ალბათობა** (%/აღწერა) - (5% - პრობაციონერთა რაოდენობის ცვლილება);
- **შესაძლო რისკები** - სამინისტროს მიერ, მიმდინარე პროცესებით წარმოქმნილი აუცილებლობით, პრიორიტეტის ცვლილება

**სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მომსახურებათა განვითარებისა და ხელმისაწვდომობის (26 08)** პროექტით (დაფინანსება შეადგენს 1.2 მლნ ლარით მეტს, 6.5 მლნ ლარს) განისაზღვრა მიზნობრივი მაჩვენებელი - ყოველ ახლად გახსნილ საზოგადოებრივ ცენტრში ხელმისაწვდომი იქნება 200 საჯარო და კერძო სერვისი; ყოველწლიურად, 3 საზოგადოებრივი ცენტრი ხელს შეუწყობს სამოქალაქო ჩართულობის ღონისძიებებს, რომლებიც გათვლილია ქალებზე (აგრეთვე, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე და ეთნიკურ უმცირესობებზე) (თითო საზოგადოებრივ ცენტრში მოხდება, ყოველწლიურად 4 ღონისძიების ორგანიზება აღნიშნული მიმართულებით);

**პოლიტიკური პარტიებისა და არასამთავრობო სექტორის დაფინანსება (06 04)** 2016 წელსაც განისაზღვრა 12.8 მლნ ლარით და პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგის სახით დაიგეგმა ქალების (აგრეთვე, მოწყვლადი ჯგუფებისა და ზოგადად ამომრჩევლების) საარჩევნო პროცესში ჩართულობის ზრდის ხელშეწყობა;

აქვე გასათვალისწინებელია, რომ 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი ითვალისწინებს სხვა პროგრამებს, რომელთა შინაარსიც შესაძლებელია უკავშირდებოდეს გენდერულ ასპექტებს და მიზანშეწონილი იყოს პროგრამის დაგეგმვის პროცესში შეფასების ინდიკატორების გამოყოფა. მაგალითად:

- **შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამების მართვის პროექტის ფარგლებში სახელმწიფო ზრუნვის, ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა დაცვის და დახმარების პროგრამა (35 01 05)**, რომელიც ოჯახში ძალადობის პრევენციის, ძალადობის მსხვერპლთა სამართლებრივი დაცვის, ფსიქოლოგიური რეაბილიტაციის და სხვა მნიშვნელოვანი მიზნების განხორციელებას ემსახურება (6.6 მილიონი ლარით დაფინანსდება, ისევე, როგორც ეს 2015 წლის ბიუჯეტით არის დაგეგმილი);
- **შრომისა და დასაქმების სისტემის რეფორმების პროგრამა (35 05)**, (დაფინანსება თითქმის იგივეა, რაც მიმდინარე წელს - 4.0 მლნ ლარი), რომლის მოსალოდნელი საბოლოო შედეგის მისაღებად გათვალისწინებულია შრომის უსაფრთხოების, საწარმოო სანიტარული და ჰიგიენური პირობების, ასევე ტრეფიკინგის საფრთხეების შესახებ დამსაქმებელთა და დასაქმებულთა ცნობიერების ამაღლება; შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის სტანდარტების მომზადება; რეგისტრირებულ სამუშაოს-მამდიებელთა ზრდა; პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და სტაჟირების შედეგად დასაქმებულთა ზრდა.

- საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ფუნქციონირების გაძლიერების ღონისძიებების (41 01) მიზნები (არსებული ეროვნული და საერთაშორისო აქტების შესრულების მონიტორინგი, სახალხო დამცველის აპარატში შემოსული გენდერული თანასწორობის საკითხის დარღვევასთან დაკავშირებული განცხადება/საჩივრების შესწავლა და შესაბამისი დასკვნების/რეკომენდაციების/წინადადებების პროექტების მომზადება; საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ გენდერული თანასწორობის სფეროში მოქმედ სახელმწიფო თუ არასახელმწიფო ორგანოების და ორგანიზაციების საქმიანობის, გამოცდილების განზოგადება და საქართველოში დანერგვის ორგანიზება) მოაიზრებს გენდერულ ასპექტსაც, თუმცა ამ მიმართულებით შეფასების რაიმე ინდიკატორი ან მიზნობრივი მაჩვენებელი მოცემული არ არის.

2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის ანალიზის საფუძველზე ვლინდება, რომ მიზანშეწონილია, სახელმწიფო ბიუჯეტის პროგრამული დაგეგმვის ეტაპზე ყურადღება გამახვილდეს გენდერულად სენსიტიური პროგრამების იდენტიფიცირებასა და აღნიშნული პროგრამების შეფასების ინდიკატორების ფორმირების პროცესში გენდერული ასპექტების გათვალისწინებაზე, რაც, თავის მხრივ, წარმოადგენს წინაპირობას იმისა, რომ სახელმწიფო ბიუჯეტი შესაბამისობაში იქნება გენდერული თანასწორობის პოლიტიკასთან და შესაბამისი პროგრამების ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებები უზრუნველყოფს გენდერულ ასპექტში სახელმწიფო რესურსების სწორად განაწილებას და ამ მიმართულებით ანგარიშვალდებულების ზრდას.

### 3. გამოყენებული ლიტერატურა

Moser, A, 2007. “Gender and Indicators – Overview Report”. Institute of Development Studies. United Nations Development Programme (UNDP).

Sarraf, F, 2003. “Gender-Responsive Government Budgeting”. International Monetary Fund. IMF Working Paper. WP/03/83.

Seguino, S, 2013. “Financing for Gender Equality: Reframing and Prioritizing Public Expenditure to Promote Gender Equality”. Economics University of Vermont.

Stotsky, J.,G, 2007. “Budgeting with Women in Mind”. International Monetary Fund. Finance and Development Magazine. Vol. 44, No. 2.

Stotsky, J.,G, 2006. “Gender Budgeting”. International Monetary Fund. IMF Working Paper. WP/06/232.

Quinn, Sh, 2008. “Gender budgeting: practical implementation - Handbook”. Directorate General of Human Rights and Legal Affairs Council of Europe. CDEG 15.

### 4. დანართები

#### დანართი 1.

#### გაეროს ათასწლეულის განვითარების (UNDP) მიზნები და გენდერული თანასწორობის როლი და მნიშვნელობა

<b>მიზანი 1:</b> უკიდურესი სიღარიბისა და შიმშილობის აღმოფხვრა	<ul style="list-style-type: none"><li>• გენდერულმა თანასწორობამ შესაძლებლობების განხორციელების თვალსაზრისით შესაძლოა დააჩქაროს ეკონომიკური ზრდა.</li><li>• თანაბარი წვდომა ტრანსპორტისა და ენერჯო-ინფრასტრუქტურისადმი შესაძლოა დადებითად აისახოს ეკონომიკურ ზრდაზე.</li><li>• თანაბარი ინვესტიციები ქალის ჯანმრთელობის დაცვასა და საკვების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისთვის დადებითად აისახება ქრონიკული შიმშილისა შემცირებასა და პროდუქტიულობის ზრდაზე.</li></ul>
<b>მიზანი 2:</b> უნივერსალური დაწყებითი განათლების უზრუნველყოფა	<ul style="list-style-type: none"><li>• განათლებული ქალი უფრო აქტიურად ეწევა სოციალურ ცხოვრებას, და დამოუკიდებლად ახდენს რეპროდუქციული უფლებების რეალიზაციას.</li></ul>
<b>მიზანი 3:</b> გენდერული თანასწორობისა და ქალთა უფლებამოსილების გაფართოების ხელშეწყობა	<ul style="list-style-type: none"><li>• აღნიშნული მიზნის წარმატებით განხორციელება უკავშირდება დანარჩენი 7 მიზნის წარმატებით განხორციელებას.</li></ul>
<b>მიზანი 4:</b> ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირება	<ul style="list-style-type: none"><li>• დედათა განათლების, შემოსავლისა და უფლებამოსილების გაფართოების უზრუნველყოფა მნიშვნელოვნად ამცირებს ჩვილთა სიკვდილიანობას.</li></ul>
<b>მიზანი 5:</b> დედათა ჯანმრთელობის უზრუნველყოფა	<ul style="list-style-type: none"><li>• დედათა განათლების, შემოსავლისა და უფლებამოსილების გაფართოების უზრუნველყოფა მნიშვნელოვნად ამცირებს ჩვილთა სიკვდილიანობას.</li></ul>

**მიზანი 6:** სხვადასხვა ინფექციური დაავადებების გავრცელების პრევენცია

- ქალთა ეკონომიკური დამოუკიდებლობა, უსაფრთხო სექსი და ინფორმაციულობის ზრდის საფუძველზე სექსუალური ზნე-ჩვეულებებისა და არსებული ტრადიციული ნორმების გადახედვა, ასევე ჯანმრთელობის დაცვის ხელმისაწვდომობა წარმოადგენს ინფექციური დაავადებების გავრცელების პრევენციის მნიშვნელოვან წინაპირობას.

**მიზანი 7:** ეკოლოგიური მდგრადობის უზრუნველყოფა

- გენდერული თანასწორობა საკუთრების უფლებისა და რესურსები ხელმისაწვდომობის მიმართულებით საშუალებას იძლევა მათი მართვის მდგრადობის უზრუნველყოფისთვის.

**მიზანი 8:** მსოფლიო თანამშრომლობა განვითარებისთვის

- პოლიტიკაში გენდერულმა თანასწორობამ შესაძლოა ხელი შეუწყოს ინვესტიციების ზრდას განვითარების თანამშრომლობის მიმართულებით.

## დანართი 2.

### გაეროს ათასწლეულის განვითარების (UNDP) მიზნების შესრულების შესაფასებლად გამოყენებული ინდიკატორები

#### სტრატეგიული ამოცანა 1: განათლება

- დაწყებით, საშუალო და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხულ ქალისა და მამაკაცის თანაფარდობა.
- დაწყებითი, საშუალო და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების კურსდამთავრებულ ქალითა და მამაკაცთა თანაფარდობა.

#### სტრატეგიული ამოცანა 2: სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობა და უფლებები

- კონტრაცეფციის საშუალებებზე ქალთა და მამაკაცთა მოთხოვნის თანაფარდობა
- მოზარდთა რეპროდუქციულების მაჩვენებელი

#### სტრატეგიული ამოცანა 3: ინფრასტრუქტურა

- წყლისა და/ან საწვავის მოსაპოვებლად დახარჯული დრო (დღიური/წლიური)

#### სტრატეგიული ამოცანა 4: საკუთრების უფლება

- მიწის მფლობელ ქალთა და მამაკაცთა თანაფარდობა
- საცხოვრებელი ფართის მფლობელ ქალთა და მამაკაცთა თანაფარდობა

#### სტრატეგიული ამოცანა 5: დასაქმება

- ქალთა წილი ჯამურ დასაქმებაში
- გენდერული ნიშნით არსებული სხვაობა შრომის ანაზღაურებაში

#### სტრატეგიული ამოცანა 6: ეროვნულ პარლამენტსა და მთავრობაში დაკავებული პოზიციები

- ქალთა მიერ ეროვნულ პარლამენტში დაკავებული ადგილების რიცხვი.
- ქალთა მიერ ხელისუფლებაში დაკავებულ პოზიციათა რიცხვი.

#### სტრატეგიული ამოცანა 7: ძალადობა ქალების წინააღმდეგ

- ოჯახური ძალადობის სიხშირე და რაოდენობა